

## საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ ვადაში, გაასაჩივროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება.

მხარის მიერ წარმოდგენილი საჩივარი უნდა აკმაყოფილებლდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც:

### **„მუხლი 181. ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი**

1. ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;

ე) მოთხოვნა;

ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

2. თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი.”